# საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი

## ბრძანება №01-134/№34
## 2014 წლის 30 ივლისი

ქ. თბილისი

## „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო თანამდებობის პირებისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 ოქტომბრის№228-№188 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო თანამდებობის პირებისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 ოქტომბრის №228-№188 ერთობლივი ბრძანებით (სსმ III, 15.10.2010 წ., №133, მუხ. 1923) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) საქართველოს მოქალაქეობის დაბადებით მოპოვების საფუძვლების დადგენას.“.

2. $2^2$ მუხლის მე-7 პუქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $7^1$ პუნქტი:

„$7^1$. ძირითადი და დელეგირებული საკონსულო ფუნქციების განხორციელებისას, რაც საჭიროებს პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაბადებით მოპოვების საკითხის განხილვას, საკონსულო თანამდებობის პირი ადგენს დაბადებით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების საფუძვლებს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გარეშე.“.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

| | |
|---|---|
| **მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი** | **დავით ზალკალიანი** |
| **საქართველოს იუსტიციის მინისტრი** | **თეა წულუკიანი** |